## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-892

06/10/2020 ქ. თბილისი

**გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარალეთში შპს „იბოლიას“ „ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამუშავებაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს „გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარალეთში შპს „იბოლიას“ „ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამუშავებაზე“ სკოპინგის დასკვნა N76 (29.09.2020);
2. შპს „იბოლიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N76 (29.09.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იბოლიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბოლიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი